ანოტაცია

იოდოფორმის პუდრი

ფხვნილი გარეგანი გამოყენების, ყველა სახის ცხოველებისთვის

შემადგენლობა

1გ ფხვნილი შეიცავს, აქტიურ ნივთიერებებს: იოდოფორმი 0,011გ; ბორის მჟავა 0,149გ; ოქსიტეტრაციკლინი ჰ/ქ 0,04გ; სტრეპტოციდი 0,05გ;

აღწერა: მოყვითალოდან ყვითლამდე შეფერილობის ფერის ფხვნილი, დამახასიათებელი სპეციფიური სუნით.

ფარმაკოლოგიური თვისებები

პრეპარატის ანტისეპტიკური მოქმედება დაფუძნებულია მასში შემავალი აქტიური ნივთიერებების თვისებებზე

იოდოფორმი - ჭრილობის ზედაპირზე კონტაქტით ხდება აქტიური იოდის გამოთავისუფლება და იწყებს თანდათანობით დაშლას, ეს კი უზრუნველყოფს ხანრგრძლივ ანტიბაქტერიულ ეფექტს.

ბორის მჟავა - ანტისეპტიკური ნივთიერება, ახასიათებს ინსექტიციდური მოქმედება, ხელს უწყობს ცილების კოაგულაციას, მათ შორის ფერმენტულის. არღევევს უჯრედული გარსის შეღწევადობას. თრგუნავს ფაგოციტოზის პროცესს, ამუხრუჭებს ბაქტერიის ზრდას და განვითრებას.

ოქსიტეტრაციკლინის ჰ/ქ - ფართო სპექტრის ანტიბიოტიკი ტეტრაციკლინის ჯგუფიდან, გამოხატული აქვს ბაქტერიოსტატიკური მოქმედება, აქტიურია მრავალი გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების, რიკეციების, სპიროქეტების, მსხვილი ვირუსებისა და ზოგიერთი უმარტივესების წინააღმდეგ.

სტრეპტოციდი – ხანმოკლე მოქმედების სულფანილამიდია, ხასიათდება ბაქტერიოსტატური მოქმედებით, ეფექტურია სტრეპტოკოკების, მენინგოკოკების, გონოკოკების, ნაწლავის ჩხირისა და სხვა მიკროორგანიზმების მიმართ. სტრეპტოციდი პარა-ამინობენზოის მჟავასთან ანტაგონიზმის გამო იწვევს მიკრობულ უჯრედში ფოლის მჟავას სინთეზის ბლოკირებას, რაც თრგუნავს მიკროორგანიზმების ზრდას და განვითარებას (ბაქტერიოსტატიკური ეფექტი).

გამოყენების ჩვენებები

გამოიყენება ინფიცირებული ჭრილობების, ოპერაციების შემდგომი ჭრილობების, წყლულების, გამონაყარის, სველი ეგზემის, დერმატიტების, ტენდოვაგინიტების, ფლეგმონას, ლიმფადენიტის, ძნელად შეხორცებადი ჭრილობების დროს.

გვერდითი მოვლენები

პრეპარატის ინსტრუქციის შესაბამისად გამოყენებისას გვერდითი მოვლენები და გართულებები (კანის ალერგიული, ადგილობრივი გამაღიზიანებელი მოქმედებები) არ აღინიშნება.

უკუჩვენება

არ აღინიშნება.

სამიზნე სახეობა: ცხოველები

გამოყენების წესი, დოზირება

პრეპარატი გამოიყენება ადგილობრივად დაზიანებულ ადგილზე შესაფრქვევად.

პრეპარატის გამოყენებამდე ასუფთავებენ დაზიანებულ ადგილებს ჭუჭყისგან, აცილებენ მკვდარ ქსოვილებს. შემდეგ მიაფრქვევენ თხელ ფენად, დღე-ღამეში 1–2-ჯერ. ცხოველებს არ უნდა მიეცეს ალოკვის საშუალება.

განმეორებითი დამუშავების აუცილებლობა დამოკიდებულია ქირურგიულ მონაცემებსა და დაზიანებულის სიმძიმეზე.

ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან

ინფორმაცია სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედების შესახებ არ არის მოწოდებული.

ჭარბი დოზირება

ზედოზირების მონაცემები ცნობილი არ არის

მაკეობა, ლაქტაცია

მაკეობისა და ძუძუთი კვების დროს იოდოფორმის ფხვნილის გარე გამოყენება შეზღუდული არ არის.

დაყოვნების პერიოდი

ხორცი და რძე- ნული დღე.

განსაკუთრებული მითითებები:

განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები სამიზნე სახეობებში გამოყენებისას:

მკურნალობის დაწყებიდან ატიპიური სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში, უნდა მიმართოთ ვეტერინარ ექიმს.

სპეციალური სიფრთხილის ზომები, რომელიც უნდა დაიცვას პირმა, რომელიც ვეტერინარული პრეპარატის გამოყენებას ანხორციელებს ცხოველზე: პრეპარატთან მუშაობისას დაცული უნდა იყოს პირადი ჰიგიენის და ვეტერინარიულ პრეპარატებთან მუშაობის უსაფრთხოების წესები. პრეპარატთან მუშაობისას აკრძალულია დალევა, მოწევა და ჭამა. სამუშაოს დასრულების შემდეგ ხელები უნდა დაიბანოთ თბილი წყლით და საპნით. პრეპარატის კომპონენტების მიმართ ჰიპერმგრძნობიარე პირებმა თავი უნდა აარიდონ პრეპარატთან პირდაპირ კონტაქტს. თუ პრეპარატი შემთხვევით მოხვდა კანთან ან ლორწოვან გარსებთან, ის უნდა ჩამოიბანოთ გამდინარე წყლით. ალერგიული რეაქციების, ასევე პრეპარატის მიღებისას დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ სამედიცინო დაწესებულებას (თან იქონიეთ პრეპარატის გამოყენების ინსტრუქცია ან ეტიკეტი).

შენახვის პირობები

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

ვარგისობის ვადა: 2 წელი.

გამოშვების ფორმა: 50 გ გარეგანი გამოყენების ფხვნილი პოლიეთილენის ფლაკონში

მხოლოდ ვეტერინარული გამოყენებისთვის.
გაიცემა ვეტერინარის დანიშნულებით.
პრეპარატი შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილზე.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიბიოტიკი, დერმატოლოგიური სამკურნალო საშუალება, ATCvet code: QD06AA53-Oxytetracycline, combinations

მწარმოებელი ქვეყანა: შპს „ბიოტეკსი“, საქართველო, თბილისი იუმაშევის ქ.#8